საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/12

ქ. ბათუმი 27 თებერვალი, 2023 წ.

ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის
შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 იანვრის №01-02/08 ბრძანების, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№3, 24.02.2023), ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№3, 24.02.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 იანვრის №01-02/08 ბრძანებით გამოცხადებული და ჩატარებული ბსუ-ს **ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგები **N1 დანართის** შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს წინამდებარე დადგენილების **დანართში** აღნიშნული ვადების შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების თანახმად.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის
შედეგების დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 02 მარტის N06-01/12 დადგენილების

დანართი 1.

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 20 იანვრის №01-02/08 ბრძანებით გამოცხადებული და ჩატარებული ღია კონკურსის შედეგად არჩეული პერსონალი

№	ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - განყოფილება	სამეცნიერო თანამდებობის/ საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	ისტორიის და არქეოლოგიის	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ირინე ვარშალომიძე	01.03.2023-დან 01.03.2028-მდე

№	ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - განყოფილება	სამეცნიერო თანამდებობის/ საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	განძლეობის გენეტიკის	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ქეთინო ნაცარიშვილი	01.03.2023-დან 01.03.2028-მდე